►3-2/2024

მოვალისათვის პოზიციის დასაფიქსირებლად ვადის დანიშვნის აუცილებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე

როდესაც მოვალე ხელშეკრულების შესრულებაზე წინასწარ უარს აცხადებს არასაკმარისი ვადის მოტივით, კრედიტორმა უნდა დაუნიშნოს მას ვადა – დროულ შესრულებასთან დაკავშირებით საბოლოო პოზიციის დასაფიქსირებლად – და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, 31.05.1976 - II ZR 133/74 = NJW 1977, 35

1967 წლის სექტემბერში მოსარჩელემ, რომელსაც მოპასუხესთან მანამდეც აკავშირებდა ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა, განვადებით მიწოდების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეუკვეთა მას 1967-68 წლების სეზონისთვის 4 მილიონი ყვავილის ქოთანი. მოპასუხემ არაერთხელ აცნობა მოსარჩელეს, რომ იგი ვერ შეძლებდა ოთხი მილიონი ქოთნის დათქმულ ვადაში მიწოდებას. მიუხედავად მოსარჩელის დაჟინებული მოთხოვნისა დროული მიწოდების შესახებ, მოპასუხემ ცალმხრივად გადაწყვიტა მისაწოდებელი პროდუქტის ოდენობის „შეკვეცა" და მთლიანობაში მხოლოდ 600 000 ქოთანი გადასცა. მოსარჩელე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო. პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, მეორე ინსტანციის სასამართლომ სარჩელი უკუაგდო, როგორც დაუსაბუთებელი.

მოცემულ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გსკ-ის [ძველი რედაქციის] 326-ე პარაგრაფის ანალოგიით, როდესაც მოვალე წინასწარ (შესრულების ვადის დადგომამდე) უარს აცხადებს, ვალდებულების დროულად შესრულებაზე, არასაკმარისი ვადის გამო, კრედიტორმა უნდა მისცეს მას ვადა იმის დასაფიქსირებლად, შეასრულებს თუ არა დროულად და უნდა მიუთითოს, რომ ამ [პოზიციის დასაფიქსირებლად მიცემული] ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ მიიღებს შესრულებას.

კეთილსინდისიერების პრინციპის (Treu und Glauben) შესაბამისად, როდესაც მოვალე გადაჭრით უარს აცხადებს ვალდებულების დროულ შესრულებაზე, კრედიტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სხვა პირებთან დადებული („ჩამნაცვლებელი") გარიგებებით დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესი, რაც ასევე მოვალის ინტერესებსაც ემსახურება (BGH NJW 1976, 326=WM 1976, 75). მეორე მხრივ, თუ მოვალეს არ უთქვამს საბოლოო უარი შესრულებაზე, კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს მისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. გსკ-ის [ძველი რედაქციის] 326-ე პარაგრაფის შესაბამისად ვადის დათქმა, აუცილებელი იყო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოპასუხე ცალსახად და საბოლოოდ განაცხადებდა უარს ოთხი მილიონი ყვავილის ქოთნის სახელშეკრულებო ვადაში მიწოდებაზე და მისი სხვაგვარად დარწმუნების ნებისმიერი მცდელობა აშკარად უშედეგო და ამაო ფორმალობად წარმოჩნდებოდა.

ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიხედვით, ქვედა ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ არ იყო საჭირო ზემოაღნიშნული ვადის დანიშვნა, რადგან მოპასუხემ არაერთხელ განაცხადა, რომ მას არ შეეძლო მეტი ქოთნის თან უფრო სწრაფად მიწოდება და ამიტომ თვითნებურად „შეკვეცა" შესასრულებელი ვალდებულების ფარგლები, ანუ, განაცხადა „საბოლოო სიტყვა" ვალდებულების ამგვარ შესრულებაზე და ნებისმიერი ვადის დათქმა უშედეგო ფორმალობა იქნებოდა. მხარეებს შორის მიმოწერა ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლეოდა, რის გამოც არ გამოირიცხება, რომ, თუ მოსარჩელე დროულად მიუთითებდა სექტემბერში დადებული ხელშეკრულების შესრულების ვადაზე და ამავდროულად მისცემდა ვადას საბოლოო პოზიციის დასაფიქსირებლად – აპირებდა თუ არა ამ ვადაში შესრულებას – მოპასუხე დროულად განახორციელებდა ნაკისრ ვალდებულებას. მოსარჩელე ასე არ

მოქცეულა, ზოგადად, ზემოთ ხსენებული ვადის მიცემის მიზანია, მოვალე დააყენოს დილემის წინაშე – მიიღოს გსკ-ის 326-ე პარაგრაფით განსაზღვრული შედეგები ან აიცილოს ისინი თავიდან ჯეროვანი შესრულებით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არ შეეძლო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება მოპასუხისგან გსკ-ის [ძველი რედაქციის] 326-ე პარაგრაფის საფუძველზე.

სოფიკო ზარანდია